

## დისტანციური სწავლება - 21-ე საუკუნის ახალი ტენდენცია გლობალური პანდემიების ხანაში

### თენგიზ ვეხუდავა

პროფესორი, მედიცინის დოქტორი,  
კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა

COVID-19 პანდემიის გამო გამო დისტანციური სწავლებაზე გადასვამ მთლიანად შეცვალა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ნოქშიაღი პრაქტიკა. მიუხედავად სიხოტუდებისა, მას აქვს გაჩვეული უპირობებები, ხადგან დისტანციური სწავლება გვაძლევს შესაძლებლობას გაუმჯობესდეს განათლების მიწოდების მეთოდი და აქცენტი გაკეთდეს ახად ტექნოლოგიებზე. ონლაინ ედუკაციური სწავლება შეიძლება იყოს პლატფორმა, რომელიც განათლების პროცესს უფრო სტრუქტურულ რიგრიგობას, შემოქმედებით და მოქნილ ხდის. ედუკაციური სწავლება ხელს უწყობს განათლების ხარისხის შემცირებას და შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს დროისა და გეოგრაფიული საზღვრების გაქვეშე. შეიძლება ითქვას, რომ ის სტანდარტები, რომლებიც ვხვდებით დღევანდელი ჩვენი ცხოვრების მხარე სფეროში, დიდი უდად შეიცვლება პოსტ-პანდემიური პერიოდში. ონლაინ სწავლება განსაკუთრებით ეფექტური და ადვილად ხელმისაწვდომია სოფლებსა და შორეულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისათვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იგი აღიქმება, როგორც საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების საჭირო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. საგანმანათლებლო დაწესებულებების სხედი გახსნა მათ ახ დაახუნებს იმავე სიტუაციაში, როგორც ეს იყო COVID-19-ის პანდემიამდე. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ შესაძლებლობა გააძლიერონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა და გახადონ სასწავლო პროცესი უფრო მეტად ჰეაგიხებადი უმაღლესი განათლების ცვალებად საჭიროებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19 პანდემია, ედუკაციური სწავლება, დისტანციური სწავლება

2019 წლის დეკემბერში ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში გამოვლინდა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19). 2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა (WHO, 2020). 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. საქართველოში ვირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა. 2020 წლის 21 მარტიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო 31 მარტიდან კი შემოღებულ იქნა საყოველთაო კარანტინის რეჟიმი.

COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე უდიდესი გავლენა მოახდინა. იგი შეეხო სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო პროცესებს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმების თავიდან ასაცილებლად, საჭირო გახდა სპეციალური ღონისძიებების გატარება, რასაც საფუძვლად უდევს სოციალური დისტანციის კონცეფცია.

სოციალური დისტანცია მიზანმიმართულად ზრდის ფიზიკურ სივრცეს ადამიანებს შორის ავადმყოფობის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. სოციალური დისტანციის მაგალითები, რომლებიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ხალხმრავალ სივრცეებში ყოფნა არის:

- სახლიდან მუშაობა ოფისში მუშაობის ნაცვლად;
- სკოლების დახურვა ან დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა;
- ადამიანებთან დისტანციური კომუნიკაცია ელექტრონულ მოწყობილობებით პირადად მონახულების ნაცვლად;
- კონფერენციების და დიდი შეხვედრების გაუქმება ან გადადება;

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა განიხილება როგორც ვირუსის გავრცელების შე-

მცირების ეფექტურ საშუალებად, თუმცა, მან განაპირობა მრავალი გამოწვევა, როგორც სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის და, შესაბამისად, საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის.

დისტანციურ სწავლაზე გადასვლამ მთლიანად შეცვალა სასწავლო დაწესებულებებში სწავლების ნორმალური პრაქტიკა, დაინერგა სწავლების ინოვაციური მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლება არ არის საუნივერსიტო სწავლების ახალი მიდგომა, მისი დაუგეგმავი, სწრაფი და გაურკვეველი ხანგრძლივობით დაწერგვა თანამედროვე გამოწვევაა.

## **დისტანციური სწავლების გამოწვევები**

უხსოვარი დროიდან, პროფესორ-მასწავლებლები ლექციებს კითხულობდნენ აუდიტორიებში, ხოლო სტუდენტები უსმენდნენ ლექტორებს, აკეთებდნენ ჩანაწერებს, სვამდნენ კითხვებს და იღებდნენ ამ კითხვებზე პასუხებს. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენდა ტრადიციული აკადემიური განათლების ხერხემალს. თანამედროვე დროს დაშორება აღარ არის ბარიერი კომუნიკაციისთვის. ფოსტის და ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით. ტექნოლოგიის წყალობით, ადამიანებს შეუძლიათ ჩაატარონ შეხვედრები სხვადასხვა ადგილას ვიდეოკონფერენციის საშუალებით.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კერძოდ, ვიდეოკონფერენციის მიღწევების შედეგად გაჩნდა სწავლების ახალი მეთოდები, მათ შორის ელექტრონული ანუ დისტანციური სწავლება, რომელიც უკვე მერამდენე წელია დაწერგულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სწავლების პროდუქტიულობის გაზრდაში (Berawi, 2020). ინტერნეტის საშუალებით, სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და ისწავლონ სახლში მარტივად. კომპიუტერის რამდენიმე ღილაკზე დაჭერით მათ შესაძლებლობა აქვთ ათასობით კილომეტრის დაშორებით მოუსმინონ პროფესორს პირდაპირ, ან ასინქრონულად. ასევე, მათ შეუძლიათ დაუკავშირდნენ პროფესორს, ურთიერთობა დაამყარონ მასთან და გადაჭრან პრობლემები ფიზიკურად ყოფნის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ განათლებისთვის დისტანციური განათლება, ორგანიზაციული თვალსაზრისით, სწავლების უფრო ძვირადღირებული მეთოდია, იგი თავისი კონცეფციით და პრაქტიკით გადაიქცა „ნებისმიერ ადგილას“ სწავლების მეთოდიდან „ნებისმიერ დროს“ სწავლების მეთოდად (Shachar & Neumann, 2003).

დისტანციური სწავლება არის განათლების ფორმა, სადაც ხდება მასწავლებლების ფიზიკური განცალკევება სტუდენტებისაგან სწავლების პროცესში (Simonson, 2016). დისტანციური სწავლება ასევე ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით, როგორცაა ელექტრონული სწავლება, მობილური სწავლება ან ონლაინ სწავლება.

ონლაინ სწავლება დისტანციური განათლების ფორმაა სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით (მაგ. კომპიუტერი, ნოუტბუქი, სმარტფონი და ა.შ.) და ინტერნეტის ხელმისაწვდომობით. ონლაინ სწავლების მეთოდების დაჯგუფება და განსხვავება სხვადასხვაგვარი გზებით ხდება. უფრო ძველი და ტრადიციული მიდგომით, გამოყოფენ ონლაინ სწავლების ორ დიდ კატეგორიას (Butola, 2021).

- დისტანციური სწავლება;
- სწავლება კომპიუტერის დახმარებით.

უფრო თანამედროვე ხედვით, გამოყოფენ ონლაინ სწავლების ასინქრონულ, სინქრონულ და შერეულ მოდელებს (Ferrari, 2012).

სინქრონული ონლაინ სწავლების დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ონლაინ, რაც იმას ნიშნავს რომ ლექტორი და სტუდენტი ერთსა და იმავე დროს უნდა იყვნენ ონ-

ლაინ, თუმცა, შესაძლოა იმყოფებოდნენ უნივერსიტეტისგან განსხვავებულ სხვადასხვა ადგილზე, სასწავლო პროცესი არის დროში გაწერილი და გამოიყენება ვიდეო და აუდიო კონფერენცია, ელექტრონული დაფა, ცოცხალი ვებ-კასტინგი, ვებინარი.

ასინქრონული ონლაინ სწავლება არ მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლის ერთდროულად ონლაინ ყოფნას და არ არის მკაცრად დროში გაწერილი. ასეთი სწავლების პროცესი აერთიანებს ციფრულ საშუალებებზე დაფუძნებულ ონლაინ კურსებს და ფორუმებს, ბლოგებს, იმეილს, სოციალური ქსელებს.

ასევე, არსებობს შერეული სწავლების მეთოდი, რომელიც აერთიანებს სინქრონული და ასინქრონული სწავლების კომპონენტებს.

ტექნოლოგიური სიახლეების ზრდასთან ერთად, აკადემიურ სივრცეებში ასევე საუბრობენ შეუფერხებელი სწავლაზე (Seamless Learning) და ყოვლისმომცველ სწავლაზე (Ubiquitous Learning), რომლებიც არ შემოიფარგლებიან, მხოლოდ დაგეგმილი ონლაინ სწავლების პროცესით და აქტიურად განიხილება მობილური სმარტფონების შესაძლებლობა არაფორმალურ სწავლებაში (Ogata et al, 2009).

შეუფერხებელი სწავლება აკავშირებს პირად და საჯარო სასწავლო სივრცეებს ერთმანეთთან ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევით; მაგალითად სკოლა და სკოლის მიღმა სწავლება, ფიზიკური და ვირტუალური სამყარო. ყოვლისმომცველი სწავლება გულისხმობს ყოველდღიურ სასწავლო სივრცეს, რომელიც მხარდაჭერილია მობილური სმარტფონებით და დაკავშირებულია კომპიუტერებთან და ინტერნეტთან.

შეუფერხებელი სწავლა და ყოვლისმომცველი სწავლა შლის დაყოფას დაგეგმილ და დაუგეგმავ სწავლებას შორის. ამ მხრივ, მობილურ ტექნოლოგიებს აქვთ პოტენციალი ხელი შეუწყონ შეუფერხებელ სწავლას და შეასუსტონ ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას შორის არსებული დიქტომია.

ონლაინ სასწავლო პრაქტიკა ეფექტურად იყენებს ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიებს ფართო სპექტრს სტუდენტების სწავლის გამოცდილების გასამდიდრებლად და სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციის გასაადვილებლად. წარმატებული დისტანციური სწავლების მინიმალური ტექნოლოგიური მოთხოვნები მოიცავს ისეთი ტექნიკის შექმნას, როგორცაა კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ვებკამერა, მოსმენის მოწყობილობები, ვიდეოკონფერენციის პროგრამები (WebEx, Zoom, Microsoft Windows-ის ოპერაციული სისტემები) და სტაბილური ინტერნეტ კავშირი.

Covid 19-ის გავრცელების შემდეგ სოციალური დისტანცირების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უმეტესობამ, გადაწყვიტა საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოეღო დისტანციური სწავლება. ჩვეულებრივი სწავლებიდან დისტანციურ სწავლებაზე უეცარმა და სწრაფმა გადასვლამ დიდი გავლენა მოახდინა სტუდენტების დამოკიდებულებაზე სწავლების პროცესზე. შეიცვალა სტუდენტების პრაქტიკა აკადემიური მუშაობასთან დაკავშირებით (მაგ. გადასვლა ონლაინ ლექციებზე, დახურული ბიბლიოთეკები, საკომუნიკაციო არხები ლექტორებთან და ადმინისტრაციასთან, შეფასების ახალი მეთოდები და ა.შ.). ასევე შეიცვალა სტუდენტების სოციალური ცხოვრება (დახურული საერთო საცხოვრებლების გამო სტუდენტების შინ დაბრუნება, მეგობრებთან, უნივერსიტეტის კოლეგებთან, ნათესავებთან შეხვედრების შეწყვეტა, წვეულებების და მოგზაურობების გაუქმება და ა.შ.), მათი ფინანსური მდგომარეობა (სამუშაოს დაკარგვა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობის, განათლებისა და კარიერის მომავლის შესახებ შეშფოთება) და ფსიქიკური ჯანმრთელობა (შიშები, იმედგაცრუებები, შფოთვა, გაღიზიანება, მოწყენილობა და ა.შ.).

მრავალი გამოწვევის გარდა, COVID-19 პანდემიამ ასევე მოიტანა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები. მაგალითად, პირად ჰიგიენაზე მეტი ყურადღების მიქცევა, საკუთარი და ახლობლების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, განსაკუთრებით რისკის ჯგუფებში მყოფი პირების მიმართ. პროფესორები და სტუდენტები იძულებულნი გახდნენ შეესწავლათ დისტანციუ-



რი სწავლების ახალი მეთოდები, რომლებიც მანამდე არ იყო გამოყენებული. დისტანციური სწავლების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ვიდეოკონფერენციების, ონლაინ გამოცდების, საშინაო დავალებების ჩატარება.

ელექტრონულ სწავლებას მრავალი სარგებელი მოაქვს სტუდენტებისა და ლექტორებისათვის. ონლაინ ელექტრონული სწავლება შეიძლება იყოს პლატფორმა, რომელიც განათლების პროცესს უფრო სტუდენტზე ორიენტირებულს, შემოქმედებით და მოქნილს ხდის. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რომელიც სწავლობდა COVID-19 პანდემიის დროს მოსწავლეთა აღქმას ონლაინ სწავლის მიმართ, სტუდენტები ონლაინ სწავლებას ძალიან სასარგებლოდ თვლიდნენ და დადებითად აღიქვამდნენ (Markus, 2020).

ელექტრონული სწავლება ხელს უწყობს განათლების ხარჯების შემცირებას და შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს დროისა და გეოგრაფიული საზღვრების გარეშე. კვლევები ადასტურებენ, რომ დისტანციური სასწავლო პლატფორმები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ სხვადასხვა სასწავლო რესურსები დროისა და ადგილის შეზღუდვის გარეშე (Cheng, 2011; Chen, 2011; Bawaneh et al, 2010). ონლაინ სწავლება განსაკუთრებით ეფექტური და ადვილად ხელმისაწვდომია სოფლებსა და შორეულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისათვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იგი აღიქმება, როგორც საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების საჭირო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ასევე იგი ამცირებს სწავლებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ ხარჯებს (სასწავლო ადგილის ქირაობა, ინვენტარის ხარჯები). ელექტრონული სწავლების უპირატესობებს შორის აღსანიშნავია სასწავლო მასალის მარტივი წვდომა ნებისმიერ ადგილას ინტერნეტში შეერთების შემდეგ (Al-Rahmi et al, 2018).

თუმცა, ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად ელექტრონული სწავლების მოქნილობის, სიმარტივისა და ეკონომიურობისა, მას გააჩნია ბევრი პრობლემა. კვლევები ხაზს უსვამენ დისტანციური სწავლების წინაშე მდგარ ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა: გამართული ინტერნეტი, ტექნოლოგიური და პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, დამწყები ონლაინ სტუდენტებისთვის უცნობ ტექნოლოგიებთან ადაპტირება (Friedman, 2020).

COVID-19 პანდემიის დროს დისტანციური სწავლების პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ სურთ თუ არა ონლაინ კურსები, ანუ არ აქვთ არჩევანის საშუალება. ადრესის (Adresi, 2020) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დისტანციურ სწავლების დროს სტუდენტების 61.5% იყენებს კომპიუტერს, 3.0% - ტაბლეტებს და 35.5% - მობილურს; სტუდენტების 87.5% მიიჩნევს, რომ პრაქტიკული კურსებისთვის დისტანციური სწავლების ეფექტურობა დაბალია, ხოლო 78.5%-ის აზრით - თეორიული კურსებისთვის. ამასთან, სტუდენტების 90.3% ამჯობინებს სწავლების ჩვეულებრივ მეთოდს და მხოლოდ 9.7% - ვირტუალურ სწავლებას.

ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი დისტანციური სწავლება საკმაოდ რთული ამოცანაა. შეიძლება არსებობდეს დისტანციური სწავლების საუკეთესო ინსტრუმენტები, მაგრამ მასზე ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს თანაბარი წვდომა. ტექნოლოგიისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობაში უთანასწორობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ღარიბი სტუდენტებისათვის. პანდემიამ შეიძლება კიდევ უფრო გააფართოვებს სტუდენტებს შორის განსხვავება, რაც უარყოფითად აისახება მათ განათლებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია არსებული სასწავლო პროგრამების ადაპტირება ან ახალი სილაბუსების შემუშავება და სათანადო ტრენინგები.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიის გამო დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ სირთულეები შექმნა საგანმანათლებლო სისტემაში, მას აქვს გარკვეული უპირატესობები. იგი გვაძლევს შესაძლებლობას გაუმჯობესდეს განათლების მიწოდების მეთოდი და აქცენტი გაკეთდეს ახალ ტექნოლოგიებზე. შეიძლება ითქვას, რომ ის სტანდარტები, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში, ძირეულად შე-

იცვლება პოსტ-პანდემიურ პერიოდში. საგანმანათლებლო დაწესებულებების სრული გასსნა მათ არ დააბრუნებს იმავე სიტუაციაში, როგორც ეს იყო COVID-19-ის პანდემიამდე. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ შესაძლებლობა გააძლიერონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა და გახადონ სასწავლო პროცესი უფრო მეტად რეაგირებადი უმაღლესი განათლების ცვალებად საჭიროებებზე.

### ლიტერატურა:

1. Berawi, M.A. (2020). Empowering Healthcare, Economic, and Social Resilience during Global Pandemic Covid-19. *International Journal of Technology*, 11(3):436–439.
2. Shachar M, Neumann Y. (2003) Differences between traditional and distance education academic performances: a meta-analytic approach. *Int Rev Res Open Dist Learn*. 4:1–20.
3. Simonson GAB. (2016). *Distance Learning Education*. Britannica: Encyclopedia Britannica.
4. Butola, L.K. (2021). E-learning- A New Trend of Learning in 21st Century During Covid-19 Pandemic. *Indian Journal of Forensic Medicine & Toxicology*, 2021, 15(1).
5. Ferrari, A. (2012). Digital competence in practice: An analysis of frameworks.
6. Ogata, H. Matsuka, Y. El-Bishouty, M. M. & Yano, Y. (2009). LORAMS: linking physical objects and videos for capturing and sharing learning experiences towards ubiquitous learning. *International Journal of Mobile Learning and Organisation*, 3(4), 337-350.
7. Markus, D. (2020). Is the online learning good in the midst of Covid-19 Pandemic? The case of EFL learners. *Journal Sinesthesia*,10(1),1-0.Retrievedfrom<https://sinesthesia.pustaka.my.id/journal/article/view/24>
8. Cheng, Y.-M. (2011). Antecedents and Consequences of e-learning Acceptance. *Information Systems Journal*, 21(3):269–299.
9. Chen, J.-L. (2011). The Effects of Education Compatibility and Technological Expectancy on e-Learning Acceptance. *Computers & Education*, 57(2):1501–1511.
10. Bawaneh, A., Zain, A N.M., & Salmiza, S. (2010). Investigating students' preferable learning styles based on Herrmann's whole brain model for the purpose of developing new teaching method in modifying science misconceptions. *Educational Research*, 1(9), 363-372.
11. Al-Rahmi, W.M., Alias, N.B., Othman, M.Z., Alzahrani, A.I., Alfarraj, O., Saged, A.A.G., Rahman, N.S.A. (2018). Use of E-Learning by University Students in Malaysian Higher Educational Institutions: A Case in Universiti Teknologi Malaysia. *IEEE Access*, 6:14268–14276
12. Friedman J. (2020). Tackle Challenges of Online Classes Due to COVID-19. <https://www.usnews.com/education/best-colleges/articles/how-to-overcome-challenges-of-online-classes-due-to-coronavirus>
13. Adresi, Y. (2020). Investigation of Students' Attitudes Towards Applied Distance Education in the Covid-19 Pandemic Process in Higher Education Institutions: Example of Physiotherapy and Rehabilitation Department. *Necmettin Erbakan University Faculty of Health Sciences Journal*, 3(1), 1-6.

## **Distance Learning - A New 21st Century Trend in the Age of Global Pandemics**

**Tengiz Verulava**

*Professor, Doctor of Medicine,  
Caucasus University School of Medicine and Healthcare Management*

### **SUMMARY**

Due to the COVID-19 pandemic, the transition to distance learning has completely changed the normal practice of teaching in educational institutions. Despite the difficulties, it has some advantages, as distance learning allows us to improve the method of education delivery and focus on new technologies. Online e-learning can be a platform that makes the education process more student-centered, creative and flexible. E-learning helps reduce the cost of education and can be effectively implemented without time and geographical boundaries. It can be said that the standards by which we were guided in many areas of our lives will fundamentally change in the post-pandemic period. Online tuition is particularly effective and easily accessible to students living in rural and remote areas. It is perceived by the World Health Organization as a necessary tool to meet educational needs, especially in developing countries. The full opening of educational institutions will not put them back in the same situation as it was before the COVID-19 pandemic. Higher education institutions should use the opportunity to strengthen evidence-based practices and make the learning process more responsive to the changing needs of higher education.

**Keywords:** COVID-19 pandemic, e-learning, distance learning